ლების მეშვიდე მუხლში; 7. არჩევნების მოხდენის დროისათვის თვითეულ სავაქრო-სამრეწველო საქმეში, რომლის მუშებიც მონაწილობას იღებენ არჩევნებში, გამოჰკიდებენ განცხადებას იმის შესახებ, თუ რამდენი მუშაა საერთოდ ამა თუ იმ სამრეწველო-სავაქრო საქმეში და რამდენი მუშა უნდა იქნეს არჩეული რწმუნებულად, ასეთ განცხადებას საფაბრიკო ან სამთო დაწესებულებაში ხელი უნდა მოაწერონ სათანადო პირებმა, ხოლო რკინის გზის სახელოსნოებში — სახელოსნოების უფროსებმა. 8. იმ სამრეწველო-სავაქრო საქმეთა სია გუბერნიაში ან ქალაქში, რომლებშიაც არჩევნები უნდა მოხდეს, გამოქვეყნდება გუბერნატორისა ან გრაღონაჩაღნიკის მიერ, მაგრამ ისე, რომ ყველას შეეძლოს გაეცნოს ამ სიას, სადაც აღნიშნული იქნება აგრეთვე მუშათა საერთო რიცხვი და მათ მიერ ასარჩევ რწმუნებულთა რაოდენობაც 9. მუშების რწმუნებულთა არჩევანი უნდა მოხდეს ყველგან, გუბერნიასა და ქალაქში, ერთსა და იმავე დღეს, თუ შესაძლებელი იქნება; ეს დღე დანიშნული იქნება გუბერნატორისა ან გრაღონაჩაღნიკის მიერ; 10. მუშების არჩევა მოხდება შენობებში, რომელნიც სავაქრო-სამრეწველო საქმეთა პატრონებმა უნდა დაუთმონ ამ საქმისთვის არჩევნების მოხდენის დროს, არჩევნებზე არ უნდა შეუშვან ის პირები, რომელიც არ არიან შეტანილნი ამოპრჩეველთა სიაში; 11. როგორ და რა წესრიგით იქნებიან არჩეულნი რწმუნებულნი, ეს თვითონ მუშების საქმეა. არჩევნების დროს წესრიგის დასაცველად და ხელმძღვანელად მუშები ირჩევენ თავიანთ წრიდან ერთსა ან რამდენსამე თავმჯდომარეს; 12. რწმუნებულად შეუძლიან არჩეული იქმნან მხოლოდ მუშაკაცები, რომელნიც ოცდა ხუთის წლის შესრულებულან უკვე და უმუშავნაით იმ სამრეწველო-სავაქრო საქმეში, სადაც არჩევნები უნდა მოხდეს, არა ნაკლებ ექვსის თვისა; 13. მუშების მიერ არჩეულ რწმუნებულთა სიას ხელს აწერენ თავმჯდომარენი და არა ნაკლებ ერთის ამომრჩევლისა; ეს სიები გადაეცემა ფაბრიკის ან ქარხნის სამმართველოს ანუ რკინის გზის სახელოსნოს მთავრობას, რომელნიც დაუყოვნებლივ გაუგზავნიან გუბერნატორსა ან გრაღონაჩაღნიკს. სიების კოპიოები გამოკრული იქნება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილზე. ხსენებულ სიებში უნდა იქნას აღნიშნული სახელი, მამის სახელი, გვარი, წოდება და წლოვანება იმ პირთა, რომელნიც რწმუნებულებად იქნებიან არჩეულნი; 14. მუშების რწმუნებულთა საერთო სია გუბერნიას, ქალაქსა ანუ ოლქში გამოქვეყნებულ იქნება გუბერნატორისა ანუ გრაღონაჩაღნიკის მიერ ისე, რომ ყველას შეეძლოს მისი წაკითხვა და გაგება; იქვე იქნება აღნიშნული ის სამრეწველო-სავაქრო საქმე, სადაც არჩეულნი იქნებიან ესა თუ ის რწმუნებულნი; 15. მუშების რწმუნებულთა კრებები იმართება ქალაქის თავის ან და მისი მოადგილის თავმჯდომარეობით; საგუბერნიო კრება გაიმართება საგუბერნიო ქალაქში, საქალაქო-კი იმ ქალაქებში, რო-

მელნიც აღნიშნულნი არიან მეორე მუხლში. თუ რა დღეს და რა ადგილას გაიმართება კრებები, ამას თავის დროზე გამოაქვეყნებს გუბერნატორი ანუ გრაღონაჩალიკი; 16. რწმუნებულთა ვინაობის გაგება თვითონ კრებების თავმჯდომარეების საქმე იქნება; 17. მუშების რწმუნებულთა კრებები ირჩევენ თავიანთ წრიდან წარმომადგენლებს ფარულის ხმის მიცემით; ამორჩეულად ითვლებიან ისინი, რომელნიც მიიღებენ ნახევარზე მეტს საარჩევნო ხმის საარჩევნო ბალების უფროსობის წესით. თუ საარჩევნო ხმები ორ თანასწორ ნაწილად გაიყო, მაშინ არჩევა წილის ყრით მოხდება. თუ რწმუნებულთა კრებაზე არჩეულ პირების რიცხვი ვერ შეავსებს საქირო წარმომადგენელთა რიცხვს, მაშინ მეორე დღეს საბოლოოდ ირჩევენ დანარჩენ წარმომადგენელთ და ამასთან ამორჩეულებად ითვლებიან ისინი, ვ-ნც შედარებით მეტ ხმას მიიღებს; 18. წარმომადგენელთა სია გამოქვეყნდება გუბერნატორისა ან გრაღონაჩალიკის მიერ; 19. თუ რწმუნებულების არჩევნები უკანონოდ მოხდა, მუშები უჩივლებენ სამაზრო საარჩევნო კომისიას, თუ წარმომადგენლობისა, — მაშინ საგუბერნიოს. ეს საქმეები გარჩეულ იქნება ხსენებულ კომისიების მიერ, რომელნიც იხელმძღვანელებენ სახელმწიფო სათათბიროს შესახებ გამოცემულ დებულების მე-45 და 47 მუხლების მიერ დადგენილ წესით. ხსენებულ საჩივრების გარჩევას კომისიაში ესწრება ერთი პირი საფაბრიკო ან სამთო უწყებათაგან დანი შნული გუბერნატორის მიერ; 20. მუშების რწმუნებულთაგან არჩეული წარმომადგენელი მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო სათათბიროს წევრების არჩევაში; 21. მუშების რწმუნებულთა და წარმომადგენელთ ხაზინიდან მიეცემათ სახარჯო ფული საგუბერნიო ქალაქში და საარჩევნო კრებებზე წასასვლელად, თითო შაური ვერსზე იქით-აქეთ: ეს იმ შემთხვევაში თუ თითონ მუშები იშუამდგომლობენ.

VI. იმ პირების დამატებით საარჩევნო სიების შედგენა, რომელთაც ნება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო სათათბიროს წევრების არჩევაში, ამ მბრძანების მე-I—IV განყოფილებათა ძალით, მიენდოს იმ დაწესებულებებს, რომელიც დანიშნულია სათათბიროს შესახებ დებულების მე-30 მუხლში; იმ ქალაქებში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 30 ათასზე მეტია — ნაწილთა საარჩევნო კომისიების, რომელთაც ირჩევს ქალაქის საბჭო ანუ მისი მოადგილე დაწესებულება იმ პირთა რიცხვისაგან, რომელთაც უფლება აქვთ სათათბიროს წევრების არჩევაში მონაწილეობის მიღებისა.

VII. დამატებითი საარჩევნო სიები უნდა შედგენილ იქნას შემდეგის საბუთებით: 1. სახაზინო პალატები და საერობო და საქალაქო სამმართველოები წარადგენენ სიებს სახელმწიფო გარდასახადებისა და აგრეთვე საერობო და სამოქალაქო გადასახადისა უძრავ მამულებზე და 2. მთავრობისა, საერობო, საქალაქო ანა და წოდებრივი დაწესებულებანი და აგრეთვე რკინის გზების სამმართველოები მიაწოდებენ, საცა ჯერ არს, კანონებს ამ დაწესებულებებში მოსამსახურეთა.



VIII. იმ პირთ, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სათათბიროში ამ ჩვენის ბრძანების მე-I -IV განყოფილებათა ძალით, თუ ეს პირები არ არიან შეტანილი საარჩევნო სიებში სახელმწიფო სათათბიროს დებულებისა ანა და მეშვიდე მუხლში აღნიშნულ ცნობებისა და სიების ძალით, ნება მიეცეთ, თუ ისინი მოისურვებენ, თავიანთ უფლებით ისარგებლონ, წერილით აცნობონ ამის შესახებ იმ დაწესესულებას, რომელიც აღგენს დამატებით საარჩევნო სიებს, არა უგვიანეს 3 კვირისა, და ამასთან უნდა წარადგინონ საჭირო მოწმობა, რომ მათ უფლება აქვთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

IX. ამომრჩევლების დამატებითი სიები უნდა გამოფენილ იქნას ამ სიების შემდგენელ დაწესებულებებში.

X. სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების დებულების მუხლების შესაცვლელად და დასამატებლად დადგენილ იქნას შემდეგი წესები:

1. მაზრებისა და ქალაქებში ცალ-ცალკე წინასწარ კრებების გამართვა და აგრეთვე ამოსარჩევ წარმომადგენელთა გარწესრიგება ქალაქის სხვა და სხვა ადგილებს შორის დაეკისრება მაზრების საარჩევნო კომისიებს; 2. მაზრის მიწათმფლობელთა და ქალაქის ამომრჩეველთა კრებებზე არჩევნები მოხდება ბარათების მიცემით, რის დროსაც უნდა იხელმძღვანელონ მე-4—13 დამატებით და სათათბიროს დებულების მე-43 მუხლებში აღნიშნულ წესებით; 3. გუბერნიისა თუ ქალაქის საარჩევნო კრება შემდგარად მაშინ ჩაითვლება, თუ დაესწრება წარმომადგენელთა ნახევარზე არა ნაკლები, წინააღმდეგ შემთხვევაში კრება ხელ ახლა გაიმართება 7 დღის შემდეგ და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი კაციც უნდა დაესწროს.

XI. სათათბიროს დებულების მე-57—61 მუხლების შესაცვლელად შემოღებულ იქნას შემდეგი წესები.

1. გუბერნატორი თუ გრაღონაჩალიკი, არჩევნების წედვის მიღებისათანავე, გაჰზავნის მას სახელმწიფო სათათბიროში, იმ პირთა სია-კი, რომელნიც გუბერნიას ანუ ქალაქში არიან არჩეულნი სათათბიროს წევრებად, წარედგინება უმართებელეს სენატს; 2. სათათბიროს წევრებად არჩეულ პირების უფლებების შემოწმება თვითონ სათათბიროს საქმეა. სათათბიროს წევრების არჩევა თუ უკანონოდ მოხდა, საჩივარი დაინტერესებულმა პირებმა პირდაპირ სათათბიროს სახლზე უნდა გაჰზავნონ. ეს საჩივარი უნდა მიეცეს გუბერნატორს ან გრაღონაჩალიკს სამის დღის განმავლობაში, დღიდან სათანადო საარჩევნო კრების დახურვისა. გუბერნატორმა ან გრაღონაჩალიკმა საჩივარი სათათბიროში უნდა გაჰზავნოს და თან გააყოლოს განმარტება საარჩევნო კრების თავმჯდომარისა; 3. სახელმწიფო სათათბიროს დადგენილება არჩევნების გაუქმების შესახებ ძალაში შედის იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება სათათბიროს დამსწრე წევრთა ორ მესამედის უმრავლესობით მოხდა.

XII. იმ დებულების, რომელიც შეეხება სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევას, მე-38 მუხლის 1 და დამატების შესაცვლელად, აგრეთვე შესაცვლელად იმ დებულების მე-24—26 მუხლებისა, რომელიც შეეხება სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას, დადგენილ იქნეს შემდეგი:

1. ამომრჩეველთა და წარმომადგენელთ უნდა შეადგინონ განსაკუთრებული მოსამზადებელი კრებები, რომელზედაც რჩევა ექნებათ სათათბიროს დეპუტატად დეპუტატად ღირსებულ პირთა არჩევის შესახებ; 2. ამომრჩეველთა მოსამზადებელ კრებებში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის პირნი, რომელნიც შეტანილნი არიან ამა თუ იმ ამომრჩეველთა კრების ან საქალაქო საარჩევნო ნაწილის სიაში; მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ამ კრების თავმჯდომარე, თუნდაც მას არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებაც არა ჰქონდეს; 3. წარმომადგენელთა მოსამზადებელ კრებებს დაესწრობიან მხოლოდ ამა თუ იმ გუბერნიის ოლქისა ანუ ქალაქის წარმომადგენელნი და აგრეთვე კრების თავმჯდომარე; 4. ამომრჩეველთა და წარმომადგენელთა მოსამზადებელი კრება მხოლოდ დახურულ სადგომში უნდა მოხდეს; 5. მოსამზადებელ კრებების დროს და ადგილის შესახებ ამომრჩეველნი და წარმომადგენელნი აუწყებენ პოლიციას არა უგვიანეს 24 საათისა კრების დაწყებამდე; ამ განცხადებებში უნდა აღნიშნული იყოს კრებების ინიციატორთა სახელებიც; 6. წარმომადგენელთა მოსამზადებელ კრებებს პოლიციის მოხელენი არ დაესწრობიან, მაგრამ თვალ-ყურს კი ადევნებენ, რომ კრებაზე გარეშე პირნი არ შევიდნენ.

XIII. 18 დეკემბერს ჩვენ მიერ დამტკიცებულ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის და წარმომადგენელთა არჩევნების წესების დამატებად დადგენილ იქნას შემდეგი: 1. სანამ ვოლოსტების ყრილობები საარჩევნო კრებისთვის თავის წარმომადგენლებს აირჩევენ, ყოველ სოფლის საზოგადოებას შეუძლიან ვოლოსტის ყრილობაში ახალი წარმომადგენლები დანიშნოს; 2. ვოლოსტების ყრილობებში რწმუნებულთა არჩევნები უნდა ფარულის კენჭის ყრით მოხდეს.

XIV. ამ წლის 11 ოქტომბერს ჩვენგანით დამტკიცებულ იქნა წესები პოლონეთში სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების არჩევნების განხორციელების შესახებ. ამ წესების შესაცვლელად დადგენილ უნდა იქნას შემდეგი: ლიუბლინის და სედლეცის გუბერნიების გმინები (სასოფლო საზოგადოება პოლონეთში), რომელნიც ცალკე აღნიშნულ იქნებიან, მე-7 მუხლში აღნიშნულ რწმუნებულთა გარდა, აირჩევენ კიდევ ორ-ორ წარმომადგენელს თითო გმინისაგან. ამ რწმუნებულთა კრებები მოხდება სამაზრო ქალაქებში მომრიგებელ მოსამართლეების თავმჯდომარეობით, რომელთაც ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეთა კრებები ამოირჩევენ. ზემოდ აღნიშნული კრებები ირჩევენ თავის წრიდან წარმომადგენლებს გან-



საკუთრებულ ამომრჩეველთა კრებისათვის, რომელიც შესდგება ლიბერალის გუბერნიის ქ, ხოლმში მომრიგებელ მოსამართლეთა კრების თავმჯდომარის თავმჯდომარეობით. ამ წარმომადგენელთა რიცხვი ცალკე გამოცხადდება. ქ. ხოლმის წარმომადგენელთა კრება თავის წევრთა რიცხვიდან აირჩევს ერთ დეპუტატს სახელმწიფო სათათბიროში, გარდა იმ რიცხვისა, რომელიც გამოცხადებულია ზემო აღნიშნულ წესების მეორე მუხლში.

XV. 18 სექტემბერს დამტკიცებულ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის და არჩევნების წესების მე-50 მუხლის დასამატებლად დადგენილ იქმნას: პირველი კრება სახელმწიფო სათათბიროსი შეიძლება მოხდეს იმის შემდეგ, როდესაც უმართებელესი სენატი გამოაცხადებს სახელმწიფო სათათბიროს იმ წევრთა სიის ნახევარს, რომელნიც არჩეულნი იქმნებიან საზოგადო წესებში მყოფ გუბერნიებსა და დონის ოლქში. უნდა უზრუნველ ყოფილ იქმნას ზემო აღნიშნულ წესებით უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა მცხოვრებთა იმ ნაწილისათვის, რომელსაც ეს უფლება მიენიჭება. ჩვენ საჭიროდ ვთვლით დავაჩქაროთ არჩევნები და ამიტომ შინაგან საქმეთა მინისტრს ვანდოთ: 1. დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები, რომ სათათბირო რაც შეიძლება მალე შეიკრიბოს და 2. გამოარკვიოს დაწვრილებითი წესები ამომრჩეველთა დამატებით სიების შედგენისა და არჩევნების მოხდენისა, რითვისაც უნდა გამოიცეს განსაკუთრებული ინსტრუქცია“.

დროთა მოთხოვნებისა და მწყემსურის ერთობისა და ზოგად ცხოვრების შესახებ.

თუ როდისმე იყო საჭირო, განსაკუთრებით ამ ჟამად ესაჭიროება საქართველოს სამღვდლოებას, რომ თვის შორის დაამყაროს, რაც შეიძლება ფართოდ ერთობა, ზოგადობა და სოლიდარობა. აწინდელი აბოზოქრებული დრო იწვევს საქართველოს სამღვდლოებასაც, რომ იმანაც იწყოს ძალუმი, შეგნებული, დაუცხრომელი და კეთილ-სინიდიისიერი მოქმედება, რომელსაც თანამედროვე ცხოვრება თხოულობს.

საზოგადოება სამართლიანად თხოულობს, რომ სამღვდლოება უნდა ხალხის სურვილს ემსახუროს და მიეგებოს სიხარულით მის აღსრულებასა. ეს ერთი. მეორე—ინტელიგენცია და საერო მწერლობა ჰკიცხავს სამღვდლოებას, რომ ის ჩამორჩა ახალ ცხოვრებას, დახავსდა, დაჰკარგა ცხოველი სიტყვა და მარტო ეკლესიურს წესებს-ლა ასრულებს.

რომ სამღვდლოებამ ეს საყვედური თავიდან მოცილოს, საჭიროა მის წევრთა მეგობრულად შეერთება, შეკავშირება სულიერი, რათა თვისი წმიდა მოვალეობა ჯეროვანად შეასრულონ: უნდა სამღვდლოების წევრთაგან

შესდგეს ერთი მთლიანი, მტკიცე ძმური კავშირი, მტკიცე ოჯახი, რომელმაც უნდა მისდიოს ერთსა და იმავე მიზანსა და ამასთანავე შეერთებულიყვნენ ქრისტიანულის მტკიცე და შეურყეველი სიყვარულითა და განიმსჭვალონ ერთობის სულითა. ამჟამად-კი სამღვდელოების შორის არ სუფევს სულიერი, შინაგანი ერთობა, **შეგნება იმისი, რომ ყველა ერთად ემსახუროს ცხოვრების უმაღლეს მიზანს.** სამღვდელოებაში ნაკლებად სჩანს ძმური ერთობა, ვინემ სხვა წოდების წევრთა შორის. ასეთი რწმენა იქნება გასაოცრად ეჩვენოს ვისმეს, მაგრამ ქეშმარიტება კია.

ამ ჟამად არსებობს საქიროებას სამღვდელოების სამოქმედოთ წარმოადგენს - შეერთება და შეგნება საზოგადო მოვალეობისა. ამიტომ დროა დაუტევოთ ძველი ანგარიშები, უნდობლობა, შური, მტრობა და გაუტანლობა. დროა შევიგნოთ, რომ 17 აპრილს (სარწმუნოების თავისუფლება) და 17 ოკტომბრის კანონების და ჩვენ თვალწინ მომხდარ პოლიტიკური ამბების გამო სამღვდელოება დარჩება უმრევლოდ, როგორც ეს კიდევ მოხდა პოლონეთის სამეფოს ზოგიერთ სამრევლოებში. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ავიღოთ მაგალითი ფრანგებისა და ლოტრანგების მღვდელთაგან. ამ სტრიქონების დამწერმა ათი წელიწადი გაატარა სხვა რჯულისა და სხვა ერების შორის და ერთხელაც არ შეუნიშნავს, მაგალითად, რომ პასტორებს ურთიერთ შორის მტრობა ჰქონიყო, ან ერთმანეთზე მთავრობასთან საჩივარი და ბეზლობის ქაღალდი ეგზავნოთ, რაც ჩვენში იშვიათი არ არის. ერთობისა და შეკავშირების გამო სხვა, მაგ. ფრანგების, სამღვდელოების შორის, არის ცხადი შეგნება თავიანთი მისწრაფების, მიზნისა და ცხოვრების ინტერესებისა; ქსენზებს ცხადათ ემჩნევათ ერთგვარობა ცხოვრებაში და ერთსულლობა მოქმედებაში. მარტო გარეგნობით, ტანისამოსით-კი არ იცნობებიან იგინი, არამედ ცხოვრებით, გონიერებით და შეხედულობით ცხოვრებაზე. ესევეა ჩვენში?..

მე აქ არ გამოვეკიდები იმას, თუ რა გვარი საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენი სამღვდელოება მივიდეს ერთობისა, სიყვარულისა, ურთიერთისადმი კითილის განწყობის შეგნებამდის. ეს ჩემის მხრივ მეტი გაბედულება იქნება და არც თუ საკადრისი. თანამედროვე, აუცილებელი მოთხოვნილებანი ცხოვრებისა თვით ძალას დაატანენ სამღვდელოებას შეერთდეს, ერთს დიდ სულიერს ოჯახად გარდაიქცეს.

წინა წერილში ჩვენ ვთქვით, რომ მღვდელსა და ერს შორის კედელია — აღმართული. ეს კედელი იმდენად მაგარია, რომ მისი დარღვევა სამღვდელოებას შეუძლია მარტო შეერთებულის ძალით, და რამდენადაც ჩქარა შეერთდება იგი, მით უკეთესია, თორემ ვაი-თუ დროთა მსვლელობამ უფრო გაამაგროს და მიუდგომელ ჰყოს ეს კედელი.

წმ. ქათამვანი, კახეთის დედოფალი.

(პატარა ისტორიული პოემა)

I

ქართლის ასული
ზნეობით სრული
შეტრფის იესოს სარწმუნოებას;
კახეთის თვალი,
მის დედოფალი
სცდილობს სამეფოს აღორძინებას.
მისი გონება,
გრძნობა და ნება
ემორჩილება ქრისტეს მოძღვრებას;
შველის ღარიბთა,
უშრობს მათ ცრემლთა,
აძლევს რა იმათ უხვს მოწყალებას.
რა მისმა მაზღმა
მაჰმადიანმა
ღალატით მოჰკლა თვის მამა და ძმა,
ქვეყნის მფარველად,
კახთა დედოფლად
ის აირჩია ერთის ხმით ხალხმა.
ერის წადილი,
გულის სურვილი
არ უარჰყო მან, გახდა დედოფლად
და თვისი თავი,
ხალხთ საესავი,
მალე გასწირა იმისთვის მსხვერპლად.

II

„ძლიერო ღმერთო,
სამებით ერთო!
კახთ მსახურებად მომეცი ძალი;

მიეც მათ ძმობა,
მტკიცე ერთობა,
გააძლიერე იმათი ხმალი,
რათა მით ჯვარი,
და თვის მთა—ბარი
დაიცვან იმათ წარბ-შეუხრელად—
და თვის მამულში
სისხლით მორწყულში
სცხოვრობდნენ მშვიდად, ცრემლ-
დაუღვრელად.
აშორე კახთა
შენთა მოსავთა
მუდამ წვალება და ცრემლთა დენა,
დაე აღყვავდეს
და გაძლიერდეს
მათი სამშობლო და დედა-ენა.
სოფლად ცხოვრება
მალე გაქრება,
ადრე დასქნდება, ვითა ყვავილი...
ჩალისა ფასსა
დავსდებ იმასა,
არც დღეგრძელობის მაქვს მე წყუ-
რილი.
თუ მსურს ცხოვრება,
სოფელში რება
იმისათვის, რომ ვემსახურო ერს,
მისთვის ვიღვწოდე
და ვლოცულობდე
და ვუცქეროდე იმას ბედნიერს.

მაჰმადის ხმალი,
 მოსლემანთ ძალი

უქადის იმას განადგურებას,
 იმისი სჯულის,
 მისის მამულის
 და დედა-ენის განიავებას.

ძველი ივერი,
 ეს მშვენიერი,
 უფსკრულის პირსა არის მიმდგარი,
 დასუსტებული
 და დაქსაქსული
 გულსა არ იტეხს მაინც ბედ-მწარი.
 და აქვს იმედი,
 რომ მისი ბედი

კვლავ გაიზარბვის, გამოზრძმედდება;
 მის მტრების ძალი,
 გახდება მქრალი
 და ქრისტეს ჯვარი გაძლიერდება.
 ღმერთო კეთილო,
 იესო ტკბილო!

იხსენ კახეთი, იხსენ მის ერი,
 მის სისხლის ნაცვლად
 მიმიღე მსხვერპლად,
 მიეც მყობადი მას ბედნიერი!
 ასე იტყოდა
 და ლოცულობდა

წმიდა ქეთევან, კახთ დედოფალი,
 ხალხის სურვილით
 და მისის თხოვნით
 ოღეს მეფობის თავს იღვა ვალი.

III

შაჰ-აბაზ ღიდი,
 ბილწი და ფლიდი,
 ბმლითა და ცვეხლით მუსრავეს კახე-
 ლებს;
 არც ბაღლს, არც სნეულს,
 არც მოხუცებულს
 მისი ქვა გული არ შეიბრალებს.

გაულიტა ერი
 ძალიან ბევრი

და ძირს დაამხო წმიდა ტაძრები.

ყველგან კახეთში,
 მინდორს და ტყეში
 დაუმარხავი ეყარა მკვდრები;

კახეთს მშვენიერს
 და მის მამაცს ერს
 ჯერ არ ენახა ასეთი მტერი;

ვინც გაექცა ხმალს
 და ბილწის მტრის თვალს,
 იხოცებოდა ტიტველ-მშვიერი...

მეფე კახეთის,
 ძე ქეთევანის
 თეიმურაზი სახელ-ქებული,
 და მეფე ქართლის,
 შვილი გიორგის,
 ლუარსაბ, შემდეგ მტრისგან დაკ-
 ლული,

ორივე შეშინდნენ,
 მსწრაფლად გაიქცნენ
 და შეეფერეს იმერეთს თავი...

დაუგდეს მტერსა,
 სისხლისა მსმელსა
 სამეფოები მათ საცოდავი...

შაჰსა სუროდა,
 ძლიერ სწყუროდა
 ქართველი ერის გადაშენება,
 რომ გამქრალიყო
 მოსპობილიყო

დედა-მიწაზე ქართველთ ხსენება...

აურაცხელი
 იმან ქართველი
 ტყვე ჰყო, სპარსეთში გადაასახლა,
 მათ მიწა-წყალზე
 ნაამავგარზე
 იქიდან სპარსნი გადმოასახლა.

ამ დროს სატირალს,
 როდესაც მტარვალს
 ეპყრა სვე-ბედი ქართლ-კახეთისა,
 ქეთევან ქველი,
 სოფლის ნათელი,
 იყო ნუგეში თვისის ერისა!

IV

შაჰ-აბაზ დიდი,
 ბილწი და ფლიდი,
 მეორეთ კიდევ კახეთს დაეცა;
 შეშინდა ერი,
 ნახა რა მტერი
 იმედ—მიხიდილი დიდს შიშს მიეცა.
 კახნი ერთის ხმით
 დიდის ცრემლის ღვრით
 წმიდა ქეთევანს სთხოვენ შევლასა
 „გთხოვთ შენ გვიშველო,
 დედავ მზრუნველო,
 თორემ ის ყელეებს დაგვჭრის ყვე-
 ლასა.

შენა ხარ ჩვენი,
 მწე და დამრჩენი,
 გემუდარებით წადი შაჰთანა,
 ეგებ მან ბილწმა,
 უნდომ და ლირწმა,
 ჩვენთ ყელთ საქრელი ძირს აგდოს
 დანა.

ეგებ დაწყნარდეს,
 მისულსა ოდეს
 იხილავს კახთა ის დედოფალსა...
 ჩვენო მზრუნველო,
 ჩაგრულთ მფარველო,
 უშველე ხალხსა, მწარედ მტირალსა!“

V

გაკლდევებული
 გალომებული
 ქეთევან უფალს ევედრებოდა:

არა თვის თავის,
 არამედ ერის
 ბედნიერებას იმას შეთხოვდა.
 ტანჯვისწინ სწამდა:
 არ გასწირავდა
 საქართველოსა იესო ტკბილი,
 ელირსებოდა,
 მოესწრებოდა
 კეთილს მომავალს სისხლით შეს-
 ვრილი.

სწამდა დედოფალს
 კახეთისა თვალს,
 რომ დადგებოდა ხანა მშვიდობის,
 და ქართველებსა
 ცრემლის მღვრელებსა
 ხვდებოდათ სიტკბო ახალცხოვრე-
 ბის,

რომ იმის სისხლზე,
 იმის ნაღვაწზე
 ქართველის ბედი განკარგდებოდა,
 და განათლების,
 ბედნიერების
 შუქი იმასაც ელირსებოდა...
 ამა რწმუნებით,
 ამ აღსარებით
 მან დაითმინა ტანჯვა მრავალი—
 და ღვთის ქებაში,
 მის დიდებაში
 წმიდამ სამუდამოდ დახუჭა თვალი.
 ვიდრე ქართველი,
 მის მაქებელი,
 დედა-მიწისა ზურგზე იქნება,
 მისი სახელი
 და ღვაწლი ქველი
 საქართველოში უკვდავ იქმნება...

1904 წ. 13 ენკენისთვეს.

ბრძენი და ხოსრობი.

(ინგლის. პოეტის გეისა)

ბატაცებული ფრინველთა ხმებით
 ხეების ჩრდილს ქვეშ ის დადიოდა,
 ყურსა უგდებდა იმათს გალობას,
 და მისი გული ამით სტკებებოდა.
 ფრინველთა ხმანი დაბურულს ტყეში
 თითქოს ერთმანერთს ეგვიბრებოდნენ
 და, ჰარმონიით შეზავებული,
 ცისა სივრცეში იკარგებოდნენ.
 მაგრამ სადაცკი ის მივიდოდა,
 ფრინველთ გალობა წამსვე სწყდებოდა;
 ზოგი მირბოდა მისგან სადღაც შორს,
 ზოგიც ბუჩქებში იმალებოდა.
 ხმას სწყვეტდა მსწრაფლად ტკბილი ბულბული,
 რა თავის ახლოს იმას ხედავდა;
 მხეცნი გარბოდნენ მისგან სიჩქარით,
 მის ახლოს ყოფნას ვერვინ ბედავდა.
 — „რად ეშინიანთ?! — რა ამბავია?!
 რა რიგად ვძულვართ ჩვენ ფრინველ-მხეცებს! —
 ნუთუ ბუნებამ მათ ჩააგონა
 ერიდებოდნენ ადამიანებს“?!
 — ე, ითხებოდა ბრძენი თავის თავს...
 და საპასუხოდ ამა საკითხის
 ჩირგვებს იქილამ გამოი' მოლა
 გაურკვეველი ხმები ვილაცის.
 ბრძენი მივიდა სიფრთხილით ჩირგვთან
 და იქ შეხედა მამა-ხოხობსა,
 რომელიც წყნარის დარბაისლურ ხმით
 დაარიგებდა თავისს ბარტყებსა:
 — „ტყეში“. — ეტყოდა იმათ მშობელი —
 „თქვენ უზრუნველად მუდამ იცხოვრებთ,
 დროს გაატარებთ მხიარულებით
 და უდარდელად იქ ინავარდებთ.
 მაგრამ იცოდეთ, ჩემო შვილებო,
 რომ ბოროტია ადამიანი,

მხეცებზე უფრო საშიში არის
 დაუნდობელი, გულ-ღვარძლიანი.
 ადამიანის ახლოს ნუ მიხვალთ!
 დაიჯერეთ თქვენ სიბრძნე მამისა;
 იცოდეთ, ის არს ბოროტ — მოქმედი,
 ხსოვნა არ იცის სხვის სიკეთისა!
 თუნდ, მაგალითად, აიღეთ ცხვარი,
 რომელიც მის ტანს მატყლით შემოსავს.
 რას უშვრება მას ადამიანი?!
 მადლობის ნაცვლად, დანით ყელს დადრავს...
 საცოდავს ფუტკრებს ნაშრომ — ნაღვაწსა
 ადამიანი უსირცხვოდ სტაცებს:
 ჰყიდის ცვილს და თაფლს; ზოგსაც თვით იხმარს
 და ფუტკართა გვარს ულუკმოდ სტოვებს.
 ვერც კი შევიძლება ადამიანის
 მრავალ სიკუდის დღეს ჩამოთვლასა...
 თუნდ, მაგალითად, აიღეთ ბატი:
 კაცს, აძლევს კალმად ისთავის ფრთასა...
 და მით სამსახურს დიდს უწევს ცოდნას,
 განათლებას და მეცნიერებას.
 მაგრამ ბოროტი ადამიანი
 განა გადუხდის იმას მადლობას?!
 როდესაც იგი ბატის ფრთითა სწერს
 ქალაქზე მალალს წმინდა ჰაზრებსა,
 იმ დროს მის კუჭის სასიამოვნოდ
 იმას უხრაკვენ დაკლულს ბატებსა“!

ილ. ფერაძე.

წიგნთა-განხილვა.

(ბიბლიოგრაფია)

„არითმეტიკული ამოცანათა და რიცხვითი მაგალითების კრებული (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით) პირველ—დაწვებითი სკოლებისათვის. ნაწილი 1. შედგენილი ე. ხრამელაშვილის მიერ. ტფილისი. მსწრაფ-მბეჭდავი არ. ვ. ქუთათელაძისა. 1905 წ. წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა. № 26. ფასი 20 კაპ...

არითმეტიკის სწავლების მეთოდმა, რომლის ძალითაც არითმეტიკულს ფორმულებს და განმარტებათ აზვირებდნენ მოწაფეებს და რიცხვის და მოქმედების შესწავლას ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევდნენ, კარგა ხანია განუტევა სული. მას მოჰყვა რიცხვთა შესწავლის მეთოდი (გრუბე, ვეტუშევსკი, პაულსონი და სხვა...) ეს მეთოდი მოწაფეებს თავს აბეზრებდა რიცხვის ყოველ მხრივ შესწავლით. მასწავლებელი მთელს ყურადღებას აქცევდა იმდენად მოქმედების შესწავლას არა, რამდენადაც—იმ გარემოებას, რომ მოწაფეს შეეგნო, თუ აღებული რიცხვი როგორ წარმოადგა და რა დამოკიდებულება აქვს მას ერთეულთან. ბევრს ავარჯიშებდა მასწავლებელი მოწაფეს რიცხვის დაწვლილებით შესასწავლად. ავიღოთ მაგალითად რიცხვი „6“. ეს რიცხვი შესდგება: ა) $1+1+1+1+1+1=6$; ბ) $2+2+2=6$; გ) $3+3=6$; დ) $5+1=6$; ე) $1+2+2+1=6$; ვ) $1+3+2=6$; ზ) $1+4+1=6$; ც) $1+5=6$; თ) $2+1+1+1+1=6$ ი) $3+1+1+1=6$; ია) $4+1+1=6$; იბ) $3+2+1=6$ და სხვა... ასე ამნაირად შეიძლება ოთხმოცზე მეტი მაგალითი მოეყვანა მასწავლებელს თითოეული რიცხვის შესასწავლად... უმთავრესი არითმეტიკაში არც განმარტება და არც რიცხვი: არითმეტიკის დედა-ძარღვი არითმეტიკულ მოქმედებათა შესწავლაა. არითმეტიკის სწავლების მიზანია—შესწავლა არითმეტიკულ მოქმედებათა და ამ მოქმედებათა საშუალებით გარეშემორტყმულ ცხოვრებიდამ ამოღებულ ამოცანათა გადაწყვეტა (კეთება). ამის გამო ბოლო დროს მეტად ვრცელდება სკოლებში მოქმედებათა შესწავლის მეთოდი, შემუშავებული პედაგოგთა გოლდენბერგის, შონორტროცკის, ჟიტკოვის და სხვათა მიერ. მოქმედებათა შესწავლის მეთოდი დიდს ყურადღებას აქცევს პირველს ათეულს... მას სთვლის მთელი არითმეტიკის ცოდნის დედა-ბოძად. ამის გამო პირველს ათეულს ამ მეთოდით საფუძვლიანად და ყოველის მხრით ასწავლიან: ბავშვი ადვილად სწავლობს არითმეტიკულ მოქმედებათა: შეკრებას, გამოკლებას,

გამრავლებას და გაყოფას ამოცანათა და განყენებულ რიცხვითი მაგალითების საშუალებით. ამ ნაირად ის ხელთ იგდებს არითმეტიკულ ცოდნის გასაღებს, ითვისებს პირველს რგოლს არითმეტიკულის ცოდნისას...

ბ. ა. ნატროშვილმა ქართულს ენაზე შეადგინა კარგა ხანია წიგნი, ამ მეთოდის საფუძვლებზე დამყარებული; ეს წიგნი პირველ-დაწყებითს სკოლებშიაც იხმარება. წიგნში მოთავსებულია მდიდარი მასალა პირველი ათეულის შესასწავლად.

ამას წინად ამ წიგნს მიემატა მეორე წიგნიც ქართულს ენაზე ბ. ე. ხრამელაშვილისა, გამოცემული ბნ სოსიკო მერკვილიაძის მიერ. ეს წიგნი დამყარებულია მოქმედებითა შესწავლის მეთოდზე. წიგნში მოთავსებულია მასალა შესასწავლად: პირველი ათეულისა, მეორე ათეულისა, პირველი ასეულისა, (სრულ ოცეულ-ათეულები 20,30,50) პირველ ასეულის ყოველ გვარ რიცხვებისა და ნაწევართა (дробн). ვინც იცის არითმეტიკის სწავლების მეთოდიკა, მისთვის ცხადია, რომ მასალის ასეთი დალაგება ნამდვილ მეთოდიკურია. ასეა დალაგებული მასალა რუსულს საუკეთესო სახელმძღვანელოებშიც... ბ. ხრამელაშვილის წიგნში მხოლოდ ერთი განსხვავებაა, იმის გამო, რომ ქართველები პირად მრიცხველობენ «ოცეულ-ერთეულებით» (ორმოცი ე. ი. ორი ოცი) და სწერენ ათეულ ერთეულობით, მაგალითად, 45 (ოთხი-ათი-ხუთი); ამიტომ მის წიგნში მეორე ადგილი უჭირავს პირველ ოცეულის შესწავლას, რაიც შუა-საფეხურად დასახულია ერთეულ-ასეულის შესასწავლად... რუსულს სახელმძღვანელოებში კი მეორე ადგილი უჭირავს რიცხვთა შესწავლას ათიდან ასამდის პირველად ათეულებით (20,30,40,50 და სხვა .. ავტორის ჰაზრი ქართულად არითმეტიკის შესწავლის და სასწავლო მასალის განაწილების შესახებ ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია. წიგნში მოთავსებული გარშემორტყმულ ცხოვრებიდან აღებული ამოცანებიც რიცხვითი მაგალითები მეტად მარტივი და ადვილად შესათვისებელია. საკმაო მასალაა მოყვანილი ნაწევართა შესასწავლადაც. ბ. ხრამელაშვილის წიგნი სასარგებლო სახელმძღვანელოა არითმეტიკის შესასწავლად. ამ წიგნის საშუალებით თითოეულს ცოტაოდენ მცოდნე მშობელსაც კი შეუძლია ბავშვებს ასწავლოს პირველ-დაწყებითი არითმეტიკა. ავტორს დაუბეჭდვინებია სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი; ხოლო მეორეს, როგორც აცხადებს, მალე დააბეჭდვინებს. მეტად საჭირო იქნება წიგნს თან ახლდეს მოკლე მეთოდიკა არითმეტიკის შესწავლისა. ჩვენი მწერლობა მეტის მეტად ღარიბია დიდიქტიკურ და მეთოდიკურ ნაწარმოებით. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ჩვენ თითქმის არ გვაქვს ქართულს ენაზე სახელმძღვანელო მწერლობა. ამისათვის თითოეული მცირე ნაწარმოებიც კი მეთოდიკის და დიდიქტიკის საკითხთა შესახებ, დაკვირვებით და საქმის ცოდნით დაწერილი, სიამოვნებით უნდა მიღებულ იქმნას ქართველის საზოგადოების მიერ.

კავკასიის მონაწილეობა სახელმწიფო სათათბიროში.

ქრისტეშობისთვის 31 მოხდა განსაკუთრებული რჩევის სხდომა გრაფის დ. მ. სოლსკის თავმჯდომარეობით კავკასიაში არჩევნების მოხდენის შესახებ.

ამ სხდომას დაესწრნენ კავკასიის წარმომადგენლები: გაზეთ „ივერიის“ რედაქტორად ნამყოფი, ცნობილი ქართველი მწერალი თავადი ი. გ. ქაჭკა-ვაძე, ე. გ. ვეიდენბაუმი, თავადი ნ. ვ. არგუთინსკი—დოლოგორუკოვი, დელსტნის თემის მემამულე კაზნაალიზოვი, ფოთის ქალაქის თავი—ნიკოლაძე, ბათუმის ქალაქის თავის მოადგილე—ეურული. თავადი მელიქიშვილი სხდომას ვერ დაესწრო ავამყოფობის გამო.

სხდომას დაესწრენ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი წევრები პირველ მინისტრის გრაფის ვიტტეს მეთაურობით.

სხდომის გახსნის შემდეგ გრ. სოლსკიმ მიმართა კავკასიის დელეგატებს სიტყვით, რომელშიაც უჩვენა, რომ კავკასიის წარმომადგენელთა სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის მიღების შესახებ საკითხი ერთხმად იქმნა მიღებული; და აწ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ ვუჩვენოთ დრო არჩევნების მოხდენისა; ეს უკანასკნელი საკითხი კი იმის გამო აღიძრა, რომ კავკასიაში საქმეთა მდგომარეობა მეტად გამწვავდა, რამაც დაბადა ეჭვი ამ არჩევნების ახლავე მოხდენის შესახებ და გამოიწვია განძახვა გადიდოს არჩევნები იმ დრომდის, როდესაც კავკასია შედარებით უფრო დაწყნარდება. კავკასიის წარმომადგენლებმა გადაქრით გამოაცხადეს წინააღმდეგობა (პროტესტი) საკითხის ასეთის დაყენებისათვის.

კავკასიის წარმომადგენელთა საერთო განცხადებით კავკასიის შესახებ თვით ასეთი საკითხის მხოლოდ აღძვრაც კი—სრულიად უსაფუძვლოა, რადგან კავკასიაში შიდა გუბერნიებზე მეტად არაა საქმე გამწვავებული,

შემდეგ კავკასიის წარმომადგენლები უჩვენებდნენ მას, რომ განსაკუთრებულ რჩევის მიერ დროს ჩვენება: „ქვეყნის დამშვიდებადის“ თავის თავად ხელს უშლის კავკასიის მონაწილეობას სათათბიროში, რადგანაც საქმეთა აწინდელი მდგომარეობა არ გვაძლევს ნებას კავკასიის დამშვიდების შესახებ იმედი ვიქონიოთ; და თუ ეს დამშვიდება შესაძლოა, შეიძლება მოველოდეთ დამშვიდებას მხოლოდ სახელმწიფო სათათბიროს მეოხებით; ხოლო თუ კავკასიას არ მიეცა სათათბიროში მონაწილეობის მიღების ნება, მაშინ იქ საქმე დღევანდელზე მეტად უფრო გამწვავდება.

რაც შეეხება კავკასიაში არჩევნების მოხდენის დამატებითს კანონებს, წარმომადგენლები არ ეთანხმებიან ხელმწიფის ნაცვალს (ნამესტნიკს) უმთავრესად მიწის ცენზის საკითხში. გრაფი ვორონცოვი-დაშკოვი წინადადებას იძლევა მიწის გადასახადის ცენზი დაიყვანოს 30 მანეთამდის წლიურის გადასახადისა, —ხოლო კავკასიის წარმომადგენლები სთვლიან საქირად, კავკასიის

განსაკუთრებულ ეკონომიურ პირობათა მიხედვით, დაიყვანონ მიწის გადასახადის ცენზი—15 მანეთამდის.

კავკასიის წარმომადგენელთა ჰაზრის მოსმენის შემდეგ, მათ გამოცხადდა, რომ მათი მისია გათავებულია, და სხდომა გაგრძელდა მათ დაუსწრებლად.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ განსაკუთრებულმა რჩევამ კანონი კავკასიაში არჩევნების შესახებ დაამტკიცა იმ ცვლილებით, რომელიც კავკასიის წარმომადგენლებმა უჩვენეს, და ცენზი შემცირებულია მიწის გადასახადის 15 მანეთამდის (გაზ. „Кавказ“—№ 7 1906 წ.).

შენიშვნები თბილისის ქართველ სამღვდლეობის 12 დეკემბრის კრების შესახებ.

ხსენებულ კრებას უნდა აერჩია დელეგატები სრულიად საქართველოს სამღვდლოების დელეგატთა კრებაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ როდესაც ამომრჩეველთა შემადგენლობაზე ჩამოვარდა სიტყვა, მღვდლებმა მთავრებითა და მედავითნეებითურთ ბერებს საარჩევნო ხმა არ მისცეს და მარტო თვითონ შეუდგნენ დელეგატების არჩევას. ვამტკიცებთ, რომ თეთრი სამღვდლოება ამ შემთხვევაში უსამართლოდ მოექცა ბერებს და შელახა ის თავისუფლება, რომელსაც თვითონ ეძიებს. შეიძლება სამღვდლოებას ქონდა რამე პატივსაღები მიზეზი, რომ ბერებს დელეგატების არჩევაში ხმა არ მისცა, მაგრამ არავის არავითარი ასეთი მიზეზი არ დაუსახელებია და ფაქტურად ისე გამოდის, რომ თეთრ სამღვდლოებამ თითქოს ძალდატანებით წაართვა ბერებს ის უფლება, რომელიც უკანასკნელთ დღემდინ ეკუთვნოდა.

მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რასაც დასთესავ, იმასვე მოიმკიო. სამღვდლოებამ სულ რამოდენიმე წუთის შემდეგ მოიმკო, რაც კრების დასაწყისში დასთესა. როცა დელეგატების არჩევაზე მიდგა საქმე, თბილისის მთავარ-ღიაკვნებმა და მედავითნეებმა გადაქრით განაცხადეს, რომ არც დელეგატების არჩევნებში მივიღებთ მონაწილეობას და კიდევაც დღესე გავიფიცვებით, თუ მღვდლები ან საათშივე არ დააკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნილებებსო,—და წარმოადგინეს ოცი თუ მეტი პუნქტი მოთხოვნილებათა, რომელთა შორის ჩვენი ყურადღება მიიქცია განსაკუთრებით ორმა პუნქტმა: ა) მედავითნეებს საქმო შემოსავალის ყოველ მანეთიდან ნაცვლად ხუთი შაურისა, რომელიც დღემდინ ეძლეოდათ, ამიერიდგან მიეცეს ორი აბაზი და ბ) გადაყვანილ იქმნან თბილისიდან ის მღვდლები, რომელთაც მთავარ-ღიაკვნების და მედავითნეების ადგილი უჭირავთ.

სამღვდლოებს 12 დეკემბრის კრებაზედ უსათუოდ და ყოველივე ბრკოლების მიუხედავად უნდა აერჩია დელეგატები, რა ფასშიაც უნდა დაჯდომოდა ეს არჩევნები, რადგანაც საქართველოს სხვა და სხვა მხრიდან დელეგატები უკვე ჩამოსული იყვნენ და თბილისის დელეგატების არჩევას უსდინდენ, შობის დღესასწაულები და რკინის გზის გაფიცვა ახლოვდებოდა და საქირო იყო საქმის ყოველნაირად დაჩქარება, ხოლო ამავე დროს მთავარ დიაკვნები და მედავითნეები დაჟინებით გაიძახოდნენ, დაუყოვნებლივ დააკმაყოფილეთ ჩვენი მოთხოვნები, თორემ დელეგატების არჩევაში მონაწილეობას არ მივიღებთ და ამ საათიდან გავიფიცებითო. როცა მღვდლები შეეკითხნენ მთავარ-დიაკვნების და მედავითნეთა ორგანიზაციის წევრებს, უსათუოა ეს მოთხოვნები, თუ შეიძლება ზოგიერთი პუნქტები გამოაკლდესო, ორგანიზაციის თავმჯდომარემ განაცხადა: დააკმაყოფილეთ მოთხოვნებათა ეკონომიური მხარე და დანარჩენ პუნქტებზე ხელს ვიღებთო. ხანგრძლივ კამათის შემდეგ გონებამ სძლია გრძნობას და საზოგადო საქმის მნიშვნელობამ პირად ინტერესებს, კვლავ მათ სავესებით დააკმაყოფილეს წამოყენებულ მოთხოვნებათა ეკონომიური მხარე და ხელი მოაწერეს აქტს, რომლის ძალით სამშო შემოსავლიდან უნდა მიეცეს დიაკვანს მანეთში ორი აბაზი, სადაც მხოლოდ მღვდელი და დიაკვანია, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში, როცა კრებული რამოდენიმე პირისაგან შესდგება, შემოსავალი უნდა გაიყოს შემდეგის სახით: მღვდელს სამი ნაწილი, მთავარ-დიაკვანს ორი და ნახევარი და მედავითნეს ორი ნაწილი იმასდა მიხედვით, თუ ვის რა ადგილი უჭირავს სინოდალურ შტატით.

მთავარ-დიაკვნების და მედავითნეების მოთხოვნებებში და მათ დააკმაყოფილებაში საგულისხმეოა რამდენიმე მხარე, რომელსაც მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება.

ძნელად თუ ვინმე დაიჯერებდა, რომ არსებობს ისეთი მთავარ-დიაკვანი ან მედავითნე, რომელიც გაფიცება იმ მიზნით, რომ რამდენიმე გრაში მიუმატოს თავის შემოსავალს. მაგრამ, როგორც ჩვენის თვლით დავინახეთ, საკმარისი იყო, რომ ცოტა ნაკლები კეთილგონიერება გამოეჩინათ მღვდლებსა, საკმარისი იყო ხუთიოდე წუთით მღვდლებისაგან პასუხის დაგვიანება — და მთავარ დიაკვნების მედავითნეებითურთ გაფიცვა ნამდვილი ფაქტი იქნებოდა. სამწუხარო მოვლენაა! ეკლესიის მსახურთა გაფიცვა შეუნდობელი ზნეობითი დანაშაულია მრევლის წინაშე (არას ვიტყვით იუზიდიულ მხარეზე). მრევლს არ უნდა და სასურველიცაა, რომ არ უნდოდეს ისეთი არც მღვდელი, არც მთავარი და არც მედავითნე, რომელიც მხოლოდ ფულისათვის ემსახურება ეკლესიას. შორს ეკლესიისაგან, ანგარბავ! არის ისეთი სამრევლოები, სადაც უკანასკნელ წლის განმავლობაში მღვდლები ულუკმა-პურონი სხედან, მაგრამ არავის მათგანს გაფიცვა ფიქრათაც არ მოსვლია და



ყოველ შემთხვევაში არაფერი გაფიცვის მსგავსი არა გაგვიგონია რაგან მტელი
ლისაგან.

თბილელ სამღვდელოებამ დააკმაყოფილა მთავარ-დიაკვნების და მედა-
ვითნეთა ეკონომიური მოთხოვნილება. ვიტყვი, რომ საზოგადოებისთვის
სრულებით ერთია, კრებულის რომელი წევრი რა ნაწილს მიიღებს საერთო
შემოსავლიდან. მაგრამ ვიკითხოთ: ქონდა თუ არა თბილელ სამღვდელო-
ებას უფლება, რომ მარტო თვითონ, სოფლელ სამღვდელოების დაუკითხა-
ვად, დაეკმაყოფილებინა მთავრების და დიაკვნების მოთხოვნილებანი? — არა
და არა. ღღეს თბილისის სამღვდელოება ასე თუ ისე საქართველოს სამღვდე-
ლოების მოწინავე რაზმად ითვლება და მისი ჰაზრთა-დენა, მისი დადგენილება
ხშირად მთელ ქართველ სამღვდელოებისთვის საერთო ხდება. ასე მოხდა ამ
შემთხვევაშიაც. მთავარ-დიაკვნების და მედავითნეთა ორგანიზაციის თავმჯდო-
მარემ გახეთ „სხივის“ ერთ-ერთ ნომერში ისეთი კილოთი გამოაქვეყნა თბი-
ლელ სამღვდელოების დადგენილება, რომ თითქოს უკანასკნელი მთელ
სამღვდელოებას შეეხებოდეს. უტყველია, რომ სოფლელი მთავრები და დიაკნე-
ბიც ღღეს-ხვალ წარუდგენენ სამღვდელოებას ასეთსავე მოთხოვნილებებს და
პირველ საბუთად თბილელ სამღვდელოების დადგენილება ექნებათ. იფი-
ქრა თუ არა ამაზე თბილელმა სამღვდელოებამ? მან მარტოდ-მარტო გადა-
წყვიტა ისეთი საკითხი, რომელიც მთელ საქართველოს სამღვდელოებას შე-
ეხებოდა, და, მაშასადამე, გადააქარბა თავის უფლებას. მოგწონს, მკითხველო,
ასეთი თვითნებობა თბილელ სამღვდელოებისა? თქვენი არ ვიცი და მე კი
არა. თბილელ სამღვდელოებას შეიძლება სრული სახსარი ქონდეს შემოსა-
ვალის ნახევარიც კი მისცეს დიაკვნებსა, მაგრამ რატომ არ იფიქრა მან იმ
დაბეჩავებულ და გადატაკებულ სოფლელ სამღვდელოებაზე, რომელიც ძლივ-
სლა იბრუნებს სულსა? იმ სოფლელ ძღვედელმა, რომელსაც საშუალო განა-
თლება მიუღია და ხუთ-ექვს ძვილსა ზრდის სხვა და სხვა სასწავლებლებში,
თბილისელ სამღვდელოების მიბაძვით, მისცეს თუ არა მანეთში ორი აბაზი
იმ დიაკვნს, რომელსაც სასულიერო სასწავლებლის კარებიც არ უნახავს და
საკუთარ თავის მეტი არავინა ჰყავს შესანახი? ამავე დროს ჩვენ დარწმუნე-
ბული ვართ, რომ საეკლესიო კრებულის დაბალ წევრების მდგომარეობას
უსათუოდ ესაქიროება ასე თუ ისე გაუმჯობესობა, და ამიტომ სიმართლე
და კაცთოყვარება მოითხოვს, რომ სოფლის სამღვდელოებამ მიბაძოს და-
სავლეთ საქართველოს ზოგიერთ ოლქების სამღვდელოებას და კრებულის
უძეკროს წევრებს მისცეს საერთო შემოსავლის მესამედი, ე. ი. მანეთში 33 1/3
კაპ. ვამბობთ რა ამას, ჩვენ სრულებით არ ხელგმძღვანებლობთ უფროს-უმ-
ცროსობის იმ დაძველებულ პრინციპით, როცა, მაგალითად, ერთი ბევრს
იღებს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უფროსია, და მერე კი ათჯერ და ასჯერ
ნაკლებს იმიტომ, რომ იგი უმცროსია, თუმცა პირველზე მეტს შრომობს



საქმის სასარგებლოდ. არა, რა მხრითაც გინდა შეადარო ერთმანეთს მღვდელი და დიაკვანი — განათლებით, თუ შრომით, თუ პასუხის-მგებლობით, — არც ერთი მხრით და არც ერთ შემთხვევაში დიაკვანს შემოსავლის შესამედის მეტი აღარ და ღირს ერგება.

როგორც ზემოთ ვთქვი, მთავარ-დიაკვნებმა და მედავითნეებმა 12 დეკემბრის კრებაზედ სხვათა შორის მოითხოვეს, რომ მღვდლებს არ ეჭიროთ მთავრების და მედავითნეების ადგილები. სავსებით ვემხრობით ამ მოთხოვნილებას და ვამტკიცებთ, რომ იგი თავიდან ზოლომდინ სამართლიანია, მაგრამ მხოლოდ პრინციპიალურად. სამართლიანობა და ეკლესიის ინტერესები მოითხოვს, რომ მღვდელმა არ დაიჭიროს მთავარ-დიაკვნის და მედავითნის ადგილი და არც აგრეთვე მთავარ-დიაკვანმა მედავითნისა. მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს მოთხოვნილება მომავალს უნდა შეეხებოდეს და არა აწმყოს. მაგრამ მთავრებმა და მედავითნეებმა აქაც უღალატეს ზომიერებას და მოითხოვეს, რომ გადაყვანილ იქმნენ თბილისიდან ის მღვდლები, რომელთაც უჭირავთ მთავარ-დიაკვნების და მედავითნეების ადგილები. დღეს თბილისში შემთხვევით, თუ გარემოებათა იძულებით, თუ მთავრობის გადაწყვეტილებით ხუთი მღვდელი მთავრის ადგილზეა და ექვსი მედავითნის ადგილზედ. ამ მღვდლების რა ბრალია, რომ დროთა ვითარებამ და გარემოებათა დენამ ასე მოაგვარა მათი ბედი და არა სხვა ნაირად? შეიძლება მათთვის კიდევაც დამკირება იყოს, რომ მათ დიაკვნის და მთავრის ადგილი უჭირავთ და არა მღვდლისა, მაგრამ ეს ხომ იმისი საბუთი არ არის უფრო დამკირონ ისინი და ტყუილ-უბრალოდ, უმიზეზოთ გააძევეთ თბილისიდან? ან სად გადაიყვანონ? ისევ იქ ხომ არა, საიდგანაც გადმოიყვანეს? მაგრამ უფრო საგულისხმიერო აი რა არის: მთავარ-დიაკვნებმა და მედავითნეებმა მოითხოვეს, რომ გადაყვანილ იქნენ თბილისიდან ის მღვდლები, რომლებსაც მთავარ-დიაკვნების და მედავითნეების ადგილები უჭირავთ. როცა მღვდლები შეეკითხნენ, რას იტყვით იმ მთავარ-დიაკვნებზე, რომელთაც თბილისში მედავითნეების ადგილები უჭირავთო, მთავარ-დიაკვნებმა უპასუხეს: მართალია ჩვენ ვართ, მაგრამ ჩვენს თავს ჩოხოსან დიაკვნებისაგან არ ვარჩევთ და ამიტომ ის მთავარ-დიაკვნები, რომელთაც მედავითნეების ადგილები უჭირავთ, ისევ ამ ადგილზედ უნდა დარჩნენ შესაფერის ადგილის გახსნამდინაო. სამართალიც ასეთი უნდა!

თბილისში თუ თერთმეტი მღვდელია მთავარ-დიაკვნების და მედავითნეების ადგილზედ, სამაგიეროთ ჩვიდმეტი მთავარ-დიაკვანი მედავითნეს ადგილზეა. თუ მღვდლებმა უნდა დასცალონ მთავრების და მედავითნეების ადგილები, მაშ მთავრები რა მიზეზით და რა მიზნით უნდა დარჩნენ დიაკვნების ადგილებზედ? ვიმეორებთ, რომ აქ მოთხოვნილებას დიადი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს. საჭიროა და სამართლიანი, რომ ამიერიდან

მღვდელი მთავრის ან დიაკვნის და მთავარი დიაკვნის ადგილზედ არ დანიშნოს; მაგრამ ეს სრულებით არ შეეხება იმ პირთ, რომელთაც დღეს ამა თუ იმ მიზეზით დაბალი და მათ ხარისხის შეუფერებელი ადგილი უჭირავთ. მათი გადაყვან-გადმოყვანა შეიძლება მხოლოდ მათთან შეთანხმებით და არა უკეთეს ადგილების მაძიებელთა სურვილით.

თბილისის ქართველი სამღვდლოება მხოლოდ მცირე ნაწილია მთელ საქართველოს სამღვდლოებისა და პირველის დადგენილება, მეორესთინ არც სავალდებულოა და არც სახელმძღვანელო. ამიტომ ვგონებთ, რომ საქართველოს დანარჩენ ქალაქების და დაბასოფლების სამღვდლოება უფრო გულდასმით, გონივრულად და წინ-დახედვით მიეგებება მთავარ-დიაკვნების და მედავითნეთა მოთხოვნილებებს.—

მწირო.

ჩმბაძეცივისაზან: ა) საეკლესიო კანონების თანახმად, ბერები მონასტრებში უნდა სცხოვრობდნენ და სასოფლო-სამრევლო საქმეებში არ უნდა ერეოდნენ. თუ ბერი ამ მოთხოვნილებას არ შეასრულებს, სჯობია ბერობაზე ხელი აიღოს. ბერობა—სოფლის უარ-ყოფაა, სოფლიდამ გასვლაა. ბერს არ შეუვინის თავის აღთქმის უარ-ყოფა და სამონასტრო კანონის მოთხოვნილებათა წინააღმდეგ მოქმედება;

ბ) მთავარ-დიაკონთა და მედავითნეთა აწინდელი მდგომარეობა სწორედ რომ სავალალოა; ავტორიც ამას არ უარ-ყოფს. ამის გამო აუცილებლად საჭიროა—გამორკვეულ იქმნას საკითხი მთავარ-დიაკვან-მედავითნეთა დაწესებულების და მათი უზრუნველ ყოფის შესახებ.



გ ა ნ წ ხ ა ღ ე ბ ა

„სწოლის ფურცელი“ 1906 წელს
 გამოვა ივანე პროზაით,
 სურათებიანი დამატებით.

დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **ბადიღე-ბული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქალაღლი. ქალაღლი უკვე მოვიღა, ხოლო მანქანა გზავია.

ფ ა ს ი გ ა ზ ე თ ი ს ა :

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში
 გაგზავნით ერთის წლით. 6 მან. | საზღვარ-გარედ გაგზავნით
 ერთის წლით 11 მან.
 ერთის თვით 50 კაპ. | ერთის თვით 1 მან.
გაზეთის ხელის მომწაფათ გაგზავნებათ სურათებიანი დამატება
 დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებულ
 იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მი-
 იღებენ, გარდა მუღმივ თანამშრომლისა მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა,
 მხატვრები გრინვესკი, ბერიძე და როტტერი.
 „ცნობის ფურცლის“ წლიურ ხელისმომწაფრთ ერთის მანეთის დამატებით კაუ-
 გზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწყალი“.
 აღრახნი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Цурцели“.

„ნაპერწყალი“

ს ა ო ხ უ ნ ჯ ო კ ა რ ი კ ა ბ უ რ ა ბ ი ა ნ ი შ ო რ ნ ა ლ ი

გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით, 4—8 გვერდი. კარრიკატურები დაიბეჭდება **ფიჭა-ღის წამლებით**. ჟურნალში გარდა მუღმივ თანამშრომლისა მხატვარ ოსკარ შმერლინ-
 გისა, თანამშრომლებად მოწვეულნი არიან და მიიღებენ მონაწილეობას მხატვრები—გრი-
 ნვესკი და როტტერი.

ფასი ჟურნალისა წელიწადში 4 მან., თვეში 40 კაპ., ცალკე ნომერი 8 კაპ.
 „ცნობის ფურცლის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწაფრთ „ნაპერწყალი“ გაგზავნებათ
 ერთის მანეთის დამატებით, ე. ი. გაზეთის ხელის მომწაფრნი წლიურ ექვსი მანეთის მაგი-
 ვრად შვიდ მანეთს გადაიხდიან.

„ნაპერწყლის“ წლიურ ხელის მომწაფრთ 3 მან. დამატებით კაუგზავნებათ
 კაზეთი „ცნობის ფურცლები“.

რედაქციის კანტორის აღრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. საღგომში.
 ოღსტის აღრახნი: Тифлисъ, Редакция „Наперциали“.

რედაქტორ-გამომცემელი აღ. ჟაბადარი.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1906 ГОДЪ

НА ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ“

ПОДЪ РЕДАКЦІЕЙ

П. А. ОПОЧНИНА

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Для городскихъ подписчиковъ. На 12 мѣсяцевъ 7 руб., на 11 мѣс. 6 р. 50 к., на 10 мѣс. 6 р., на 9 мѣс. 5 р. 50 к., на 8 мѣс. 5 р., на 7 мѣс. 4 р. 50 к., на 6 мѣс. 4 р., на 5 мѣс. 3 р. 50 к., на 4 мѣс. 3 р., на 3 мѣс. 2 р. 25 к., на 2 мѣс. 1 р. 50 к., на 1 мѣс. 75 к.,

Для иногородныхъ подписчиковъ. На 12 мѣсяцевъ 8 р. 50 к., на 11 мѣс. 8 р., на 10 мѣс. 7 р. 50 к., на 9 мѣс. 7 р., на 8 мѣс. 6 р. 50 к., на 7 мѣс. 6 р., на 6 мѣс. 5 р. 50 к., на 5 мѣс. 5 р., на 4 мѣс. 4 р., на 3 мѣс. 3 р., на 2 мѣс. 2 р., на 1 мѣс. 1 р.,

Допускается разсрочка для годовыхъ подписчиковъ.

Для городскихъ. 1-й взносъ при подпискѣ 2 р., 2-й къ 1-му марта 2 р., 3-й къ 1-му мая 2 р., 4-й къ 1-му июля 1 р.,

Для иногородныхъ. 1-й взносъ при подпискѣ 2 р., 2-й къ 1-му марта 2 р., 3-й къ 1-му мая 2 р., 4-й къ 1-му июля 1 р. 50 к., 5-й къ 1-му сентября 1 р.,

ПОДПИСКА И ОБЪЯВЛЕНІЯ ПРИНИМАЮТСЯ въ конторѣ газеты „Кавказъ“ (Эриванская площадь, домъ Харазовой, телефонъ № 182).

Лица и учрежденія, находящіяся внѣ г. Тифлиса, плату за подписку и объявленія благоволятъ присылать въ контору газеты „Кавказъ“ полностью, безъ вычета за пересылку и съ точнымъ указаніемъ, на какой предметъ (за подписку или объявленія) высланы деньги.

Правительственныя мѣста и должностныя лица, находящіяся въ Тифлисѣ деньги за газету „Кавказъ“ и за объявленія въ ней имѣютъ направлять непосредственно въ контору газеты „Кавказъ“.